



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №13

2014 წლის 28 მარტი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
(ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N2-ში მდებარე 253.56 კვ.მ. შენობიდან 26 კვ.მ. ფართის)
საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 5 ნოემბრის N40 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N2-ში მდებარე 253.56 კვ.მ. შენობიდან 26 კვ.მ. ფართის (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 27.06.56.072.01.502)) საწყისი წლიური ქირის ოდენობა (გარდა მიწისა) განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების ფასის 10%-ის ოდენობით.

მუხლი 2. შენობა-ნაგებობაზე მიმაგრებული 1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს 0,456 ლარით.

მუხლი 3. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, (ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N2-ში მდებარე 253.56 კვ.მ. შენობიდან 26 კვ.მ. ფართის (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 27.06.56.072.01.502)) აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გაცემის ორგანიზება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი